ცნობის ფურცელი

№ 2047 ოთხშაბათი, 22 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2047

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37

ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის მამის

გიორგი სვიმონის ძის ჩიქოვანისას

დაკრძალვა დანიშნულია ქ. სოხუმს 25 იანვარს. (1—1)

მასაჟის კურსები
გედევანოვის საავადმყოფოში

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

მასაჟი და **გიმნასტიკა ავადმყოფებისა**, (ტეხნიკა ჩვენებანი) და **საზოგადო პათოლოგია**: დ—რი სოზოლევსკი. **ანატომია**, დ—რი ა. გ. მაღალაშვილი; **ფიზიოლოგია** დ—რი ე. გ. ფედოროვი.

სწავლა დაიწყება 10 თებერვლიდან. **ფასი კურსებისა 30 მან.** კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (8—6)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

ხუთშაბათს, 23 იანვარს, გამართული იქნება

საუცხოვო წარმოდგენა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

შემოსავალი დანიშნულია „ტფილისის სკოლათა შეუძლო მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების" თანხის გასაძლიერებლად. (2—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯიხიძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ი. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

მ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოიძე.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი: —თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ა. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12— საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟითა და „შვედიშ გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, №-21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა"

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილი ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა**, ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—6)

ს ი ა

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული **12—19** იანვრის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
1	ბლად ალექსანდრე გერსამია.	6	—
2	იოსებ ივ. ოცხელი. . . .	6	—
3	მარიამ მიხ. სალარიძისა. . .	12	—
4	გიორგი ნიკ. სალარიძე . . .	12	—
5	ვ. ე—ძე.	6	—
		42	—

წარმოდგენა მე-32. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს. 1903 წელს

6. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მელანიას
ოინები

კომედია 4 მოქმ. ჰაუპტმანიდან გადმოკეთებული კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, საფაროვი, რომანიშვილი, ქლენტი და სხ.

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: **„მიგნებული ბედნიერება"**, **„ნორა"**, **„ორი დობილი"**, **„სიძე სიმამრი"**, **„ჩაქცეული ხიდი"**, **„დარღვეული ბინა"**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, **№ 22**, დიდი ბანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ᲩᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

V

მოვისმინეთ „უბრალო და უმწიკვლო და უშიშარ" რაინდის—სიმონ ქვარიანის—სიტყვა, სიტყვა გრძელი და მაღალ გრძნობიერი, დემოსთენესებურ მჭუხარე მჭევრმეტყველებით წარმოთქმული. ბევრი მრეწველი გაკვირვებული და გაოცებული არის, რომ მე ასე ცოტას ვლაპარაკობო, მისაყვედურებენ კიდეც ასეთ გაჩუმებასო. ამიტომ უნდა ავლალო ბაგენი ჩემნი და მოვახსენოთ შემდეგიო. და წამოვიდა სიტყვათა ნაკადული, რომელმაც კინაღამ მთელი დარბაზი წალეკა.

ამბობენ, ვითომ მე, სიმონ ქვარიანმა, ჩემ მაღალ პრინციპებს ვუღალატეო. ტყუილია, ბატონებო, საზიზღარი ცილის-წამებაა ჩემი მტრებისა: მუშა და წვრილი მრეწველია ჩემი სათაყვანო საგანი, მას ვეტრფი, მას ვლოცულობ, მისთვის დავდებ თავს და ამიტომ გაუმარჯოს ემერიკს, რომელიც ასევე შებრალე გულით ეკიდება ადგილობრივ წვრილ მრეწველს, გაუმარჯოს შუტცს, რომელიც ძალიან წვრილი მრეწველია—სულ ათიოდე ხმა აქვს, გაუმარჯოს ინჟენერ ჩერნევსკის, რომელიც მის მიერ ცუდათ გაკეთებულ გზას სხვას უსაყვედურებს და ყოველ წუთს მზად არის პოლიციას მოუწოდოს, გაუმარჯოს ინჟენერ მარკოვსკის, რომელთანაც მე, სიმონ ქვარიანი, ხშირად ვთათბირობ და რომელიც მრეწველთა მთელ კრებას და მის არჩეულ ზდანოვიჩს კუდით ქვას ასროლინებს, ისეთ მოხსენებას ამზადებს თავის უფროსთან გასაზგავნად, რასაკვირველია, ჩემის დახმარებით.

ბატონებო, ნუ თუ ამის შემდეგაც აღარ დაიჯერებთ, რომ სიმონ ქვარიანი, უცვლელი სიმონ ქვარიანი, მაღალ და კეთილშობილ პრინციპების აღმსარებელი არ არის, რომ მუშისა და წვრილ მრეწველის არსებითი ინტესები არ ალაპარაკებს მას ემერიკის, შუტცის და მარკოვსკი-ჩერნევსკების სასარგებლოდ?

სიმონ ქვარიანის არ იყოს, მეც შემებრალა „საწყალი" ემერიკი ჩვიდმეტ იანვრის სხდომაზე: სიტყვის თქმის ნება ჰქონდა აღებული ბ. ემერიკს სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო, მაგრამ „ავად ვარ, დღეს არ შემიძლია ლაპარაკი, გადადევით კრება და ხვალ მალაპარაკეთო" შესთხოვა მთრთოლვარე, ნამდვილ სიცხიან ავადმყოფის ხმით თავმჯდომარეს. ბევრს შეებრალა ბ. ემერიკი და ამ გვარისავე თხოვნით მიჰმართეს ბ. ცეიტლინს. მაგრამ კრების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო—მთელი კრება ერთ კაცს ვერ მოუცდის, თუნდ ეს კაცი ემერიკიც იყოსო, ასე საქმის გაჭიანურება ჩვენ არ შეგვიძლიან, საქმეები გვაქვსო და სხვა. თავმჯდომარე უმრავლესობის სურვილს აჰყვა და ემერიკს რომ შევხედე, სამსხვერპლოდ გაწირული უმანკო კრავი მომაგონდა, ისეთი სახე მიეღო. მაგრამ მალე ისევ გონს მოვედი და ჩემ თვალ წინ ცხვრის ტყავში გახვეული შეუბრალებელი მტაცებელი მგელი იდგა. ემერიკი უპირატესობას თხოულობდა და კრება, ჩემის აზრით, სამართლიანად მოიქცა, რომ არ მიანიჭა მას ეს უპირატესობა—არაფრით არ დაუმსახურებია; პირიქით..

საინტერესო სცენა იყო, როცა კალისტრატე ჩიკვაიძე სცენაზე ავიდა ყუთში კენჭის ჩასაგდებად. კალისტრატე კრებებს არ ესწრება, იგი რჩეობს ჯერ-ჯერობით სცენის გარედ მოქმედებას. მიუხედავათ ამისა, როცა ანგარიშის დამტკიცებაზე მიდგა საქმე, კალისტრატე თეატრის დარბაზში გაჩნდა და დინჯად სცენისაკენ გაემართა; კრება მხიარულად შეხვდა ქუთათურ გმირს—არ შეგვშალოს, კალისტრატე, კენჭი თეთრში არ ჩაუგდო ზდანოვიჩსო, მიაძახეს ყოველის მხრიდან. კალისტრატეს არ შეშლია და პირ-და-პირ შავში ჩაუგდო კენჭი. დაბრუნებისას ზდანოვიჩის მომხრეებმა მიაძახეს—ჩვენ ხომ გიმტკიცებდით ყოველთვის ანგარიშსო. „ჩემი ანგარიში თქვენსას არ გავდაო", უპასუხა წარბშეუხრელად კალისტრატემ.

გარეშე

საზღვარ-გარედ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ირლანდიელი მეთაურები ყოველნაირად ცდილობენ, დუბლინის კონფერენციის დადგენილება საადგილ-მამულო საქმეებზე მოაწონონ ირლანდიის ხალხს. ვილიამ ო'ბრაიენმა გაზეთ „ირიშ პიპლ"-ში გრძელი წერილი დაჰბეჭდა ამ საგანზე და პასუხი გასცა იმათ, ვინც ცუდად უყურებს დუბლინის კონფერენციის დადგენილებას. ო'ბრაიენი ამბობს: „ირლანდიამ საზოგადოთ კარგის თვალით შეჰხედა ლენდ-ლორდებისა და არენდატორებისაგან შემუშავებულ პირობებსაო, მაგრამ ზოგიერთი ამტკიცებს, ვითომ არენდატორებმა ძლიერ ბევრი რამ დაუთმეს ლენდ-ლორდებსაო. ო'ბრაიენი პასუხს აძლევს იმ კრიტიკოსებს, რომლებიც ასე უყურებენ საქმეს, მაგრამ იმავე დროს ვერა ჰბედავენ სთქვან, რომ კონფერენციის დადგენილება უარ ჰყონო. არენდატორების დელეგატების მოვალეობა ის კი არ იყო, რომ ლენდლორდების პირობა უარეყოთ, დელეგატები მოვალენი იყვნენ ლენდ-ლორდებს როგორმე მოჰრიგებოდნენ. ლენდ-ლორდიზმის მოსპობა ჩვენ ხელთ რომ იყოს, მაშინ კონფერენციის მოწვევაც საჭირო აღარ იქნებოდაო. ჩვენი ხალხი რადა თხოულობდა ასე ერთ-პირად და ასე ხმა-მაღლა, რომ მემამულეებთან საადგილ-მამულო საქმეებზე მოლაპარაკება გაიმართოსო? კარგად იცოდა, რომ ლენდლორდებს ვერავინ შეასრულებინებდა ყველა ჩვენ მოთხოვნილებასა და იმიტომ".

◆ გაზეთები იუწყებიან, ჩემბერლენი კიდევ ერთ თვემდე დარჩება სამხრეთ-აფრიკაში და ინგლისში, ალბად, 12 თებერვალს წავაო.

◆ ირლანდიელ დეპუტატის „პოლკოვნიკ" ლინჩის პროცესი ასე გათავებულა. ნაფიც მოსამართლეების თათბირი ნახევარ საათამდე გაგრძელდა. როცა დარბაზში დაბრუნდნენ, ლინჩი თავის ადგილიდან ადგა. ნაფიც მოსამართლეების უფროსმა დადგენილება წაიკითხა: „დიახ, დამნაშავეა". ბრალდებული ნამცეცადაც არ შეკრთა. მსაჯულმა ჰკითხა: „ბრალდებულს ხომ არა აქვს-რა თავის თავის გასამართლებლად სათქმელიო"? ლინჩმა ხმა მაღლა, მაგრამ დინჯად უპასუხა: „მადლობას მოგახსენებ, არაფერი არა მაქვს რა სათქმელი." მაშინ უფროსმა მსაჯულმა ვილსმა სასამართლოს განაჩენი წაიკითხა. ცოტაოდნად აღელვებულის ხმით ბრალდებულის დანაშაული ჩამოსთვალა და თავისი სიტყვა ჩვეულებრივის ფორმულით დაასრულა: „სასამართლომ დაადგინა, რომ თქვენ აქედან ციხეში წაგიყვანონ, იქიდან კიდევ დასასჯელ ადგილს და იქ თოკი მოგაბან ყელში და დაგკიდონ, ვიდრე არ მოჰკვდებით". საზოგადოება აღელდა, მაგრამ ლინჩი მაინც წინანდებურად დინჯად იყო. ლინჩი ადგა და მაგარის ნაბიჯით კარებისაკენ წავიდა, გზა და გზა ხელი ჩამოართვა მეგობრებს, მეგობრულად გაუღიმა ცოლსა და დარბაზიდან ისე გავიდა, რომ ნამცეცი აღელვება არ შეჰტყობია.

ინგლისური გაზეთები ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს სასჯელი შემცირებული იქნება.

„ტაიმს"-ი ამბობს: „ლინჩი ღირსია, რომ სასჯელი ცოტაოდნად შეუსუბუქდეს. ის კანონი, რომლის ძალითაც ლინჩი დასაჯეს, მეტად ძველი კანონია და ბარბაროსულ დროიდანაა დარჩენილი. ლინჩი ენტუზიაზმის ტალღისაგან იყო გატაცებული: აქ არაფერ ცუდ, დაბალ გრძნობას არა ვხედავთ. ამიტომ ლინჩის დანაშაულსაც უფრო ლმო-

ბიერად უნდა შევხედოთ. „სტანდარდ“-ი ამბობს, ლინჩი სასტიკ სასჯელის ღირსია, მაგრამ მაინც სულ-გრძელად უნდა მოვექცეთ. არავისაც არ უნდა, რომ ლინჩი უსათუოდ სიკვდილით დაისჯოს თავის დანაშაულისათვის. „დეილი ნიუს“-ი სინანულს აცხადებს: ან კი სულაც რად უნდა სასამართლოში გარჩეულიყო ლინჩის პროცესი. მთელს ინგლისში არავის არ უნდა, რომ სასამართლოს განაჩენი შესრულდეს. ამ პროცესმა ტყუილ-უბრალოდ განაახლა მტრობა, რომელიც, დროა, დავივიწყოთ. ლინჩი ნამდვილი მეამბოხეა; სამხრეთ აფრიკაშიაც რამდენიმე ათასი მეამბოხე იყო, მაგრამ ომის შემდეგ ისინი სამართალში არ მისცეს და ყველას საქმე გააუქმესო.

„დეილი ნიუს“-ი სხვა ადგილას იხსენიებს: ჩემბერლენი თანაგრძნობით ელაპარაკა „ეროვნულ მზვერავების“ დეპუტაციასაო, ესე იგი იმ ბურებს, რომლებმაც ომის დროს თავიანთ სამშობლო ქვეყანას უღალატესო.

ახალი ამბავი

◆ ქუთაისიდან შემდეგს გვატყობინებენ: ქუთაისის მაზრის უფროსმა თავ. დადიშქელიანმა აცნობა გუბერნატორს, რომ 11 იანვარს სოფ. ნახშირის ღელეში (სიმონეთის საზოგადოება) მომხდარ **მიწის ძვრის** გამო მცხოვრებთ ბეჟან ხუწაძისა, ნესტორ ჩუბინიძისა და სტეფანე ცენაძის მამულებში გასკდა ორ ალაგს მიწა 80 და 60 საჟ. სიგრძეზე და 3 საჟ სიღრმეზე. ამ ალაგებიდან ამოხეთქა წყალმა. მიწა თანდათან ძირს მიდის და რამდენიმე მოსახლე იძულებული შეიქმნა გადასახლებულიყო სხვაგან. ამ გარემოებამ ძლიერ შეაშინა ადგილობრივი მცხოვრებნი. მაზრის უფროსი სთხოვს გუბერნატორს, გაგზავნილ იქმნას გეოლოგი.

◆ საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს ჩვენს მხარეში **სასოფლო-სასწავლებლების რიცხვი გაამრავლოს.**

◆ ამ ზაფხულს კავკასიის **სამოქალაქო სკოლების მასწავლებლების კრება** უნდა მოხდეს ტფილისში. თანახმად სამინისტროს მოწერილობისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უცნობებია ეს ამბავი ყველა სამოქალაქო სკოლისათვის და მიუწერია, ყოველ მასწავლებელს, ან მასწავლებელთა საბჭოს, შეუძლიან თავისი წერილობითი აზრი წარმოუდგინოს კრებას განსახილველად შემდეგის საგნებისა: ა) ნივთიერი მდგომარეობა მასწავლებლებისა და მათი გაუმჯობესება; ბ) როგორ უნდა ისწავლებოდეს საზოგადო საგნები ამ სკოლებში, აგრეთვე წერა-ხაზვა და ხატვა, ხელოსნობა, სამეურნეო საგნები საზოგადოდ, სიმღერა, გიმნასტიკა და სხვა; გ) საჭიროა თუ არა ახალ ენების სწავლება და ამ სწავლების საშუალება; დ) როგორ უნდა იქმნეს შეთანხმებულ-შეფარდებული დაბალი სკოლები სამოქალაქო სკოლებთან; ე) მოსწავლეთათვის სათამაშო ბაღებისა, საკითხავებისა, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გამართვა და სხვა.

◆ კავკასიის სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა უფროსების კრება ამ წლის ივნისის პირველ რიცხვებში მოხდება ტფილისში, როცა სასწავლებელში სწავლა გათავდება („კავკაზ“).

◆ **მიწათ-მოქმედების სამინისტროს საყურადღებო ცნობები მოუთხოვია** სახელმწიფო ქონებათა სამართველოებისაგან კავკასიაში. სამინისტრო სწერს, სასურველია 1884 წლის 9 ნოემბრის კანონით სოფლით საზოგადოებათ იჯარით მიეცეთ სახაზინო ადგილები შეღავათიანის პირობებითო. ამ კანონით სოფლის საზოგადოებას შეუძლია 24 წლით აიღოს სახაზინო ადგილი იჯარით და ამისათვის არც ბეა საჭირო. სამინისტრო ეკითხება, ხმარებაშია თუ არა ეს კანონი კავკასიაში და თუ არის—სად და რამდენია ამ წესით სახაზინო ადგილები იჯარით გაცემულიო.

◆ 3 თებერვალს სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად **ქ. სიღნაღში მიდის** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია.

◆ 20 იანვარს **კრება ჰქონდა პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას.** სხვათა შორის, კრებამ მოისმინა მოხსენება გამგეობისა საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ. გამგეობა აღნიშნავს, რომ წესდება ძალიან დაძველდა და დანიშნულებას ვერ ასრულებს, საჭიროა კომისია ამოვირჩიოთ წესდების გადასათვალიერებლადაო. კომისიის წევრების ამორჩევის შემდეგ კრებამ მოისმინა განცხადება სოხუმის მცხოვრებთა ერთის ნაწილისა, რომელნიც თხოულობენ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების განყოფილების დაარსებას სოხუმშიაც. კრებამ შეიწყნარა ეს განცხადება. შემდეგ კრებამ მიღო 1902 წლის ანგარიში. ამ წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 24,000 მანეთი, აქედან 18,000 მანეთამდე დაუხარჯავს სამკურნალოს შენობის ასაგებად და მოსაწყობად. კრებამ მოისმინა აგრეთვე სხვა და სხვა დადგენილება პეტერბურგში მომხდარ ბეათალთა საზოგადო კრებისა და სხვა.

◆ **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** კრებაზედ, 20 იანვარს, სხვათა შორის, განხილულ იქმნა მოხსენება კომისიისა იმის შესახებ, რომ ცხენის რკინის გზებზე ცხენებს კარგად არ უვლიან. ამუშავებენ თურმე კოჭლ ცხენებს და სხვ. კომისიას ოქმი შეუდგენია, საზოგადო კრებას სთხოვა პასუხის გებაში მისცეს კონცესიონერები. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟ. ი. გ. ივანოვსკი**, როგორც „ნოვ. ობოზრ.“ გვატყობინებს, გადაჰყავთ პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზის უფროსად, ხოლო იმის ადგილას აქ გადმოჰყავთ ინჟენერი ვოლკოვი.

◆ ბორჯომის ხეობაში **დიდი თოვლი დაუდვია**: ხაშურსა და ბორჯომს შუა ეტლებით მიმოსვლა სრულებით შესწყდა, რკინის გზით მიმოსვლა გაძნელებულია.

◆ გაზაფხულიდან გუდაუთში შეუდგებიან **იმ ადგილების გაშენებასა და შემუშავებას**, რომელიც ინტელიგენტ რუსებს მიუჰრა მთავრობამ. ორის წლის განმავლობაში უნდა აშენდეს შვიდასამდე სახლიო—ამბობს გაზეთ „ჩერნ. ვესტნიკ“-ი—და როგორც ამას, აგრეთვე შავი-ზღვის პირა რკინის გზის გამართვას გუდაუთის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნებაო.

◆ გუშინ წინ საბჭოს მიერ მიღებული **ახალი ნიხრი ხორცზე** ქალაქის გამგეობამ გუშინ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად.

◆ ქალაქის სასანიტარო-საექიმო საბჭო ამ ჟამად იმის სჯაშია, რა ნაირად და რა საშუალებით შეუძლია ქალაქს **ხუნაგის გავრცელებას ბრძოლა გაუწიოს.**

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი—„ორი მშიერი“, ვოდევილი ერთ მოქმედებად, გადმოკეთებული დ. აწყურელის მიერ. წიგნაკი გამოცემაა „ბუთნისას“ და ჰღირს 7 კაპეიკად.

◆ ხუთშაბათს, 23 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგების სადგომში სხდომა ექმნება სასწავლებელთა გამგე კომისიას.

◆ 3 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე კაგკაის მცხოვრების მარიამ გოშადენკოსა და განჯის მე 156 ქვეითა რაზმის ჯარის-კაცის პეტრე დესტერაკის, რომელთაც მარტინ გოშადენკოს მოკვლა ბრალდებათ. როგორც საქმიდანა სჩანს, დესტერაკს ჰყვარებია მარიამ გოშადენკო;—ამ უკანასკნელს ურჩევია, ჩემი ქმარი მოვკლათ და თავისუფალი ცხოვრება გვექნებაო. გოშადენკო 1902 წლის 11 მაისს გაუტყუებიათ კაკის სასაფლაოზე, დაუკრავთ თავში რაღაც რკინა და მოუკლავთ.

◆ კვირას, 19 იანვარს, პოლიციის მე-5 ნაწილში, ციციშვილის სახლთან მეეზოვე გევორქოვთან ერევნის გუბერნიის მცხოვრებს ანტონ აკოფოვს ჩხუბი მოსვლია, რომლის დროსაც ამ უკანასკნელს უძვრია ხანჯალი და გევორქოვი მძიმედ დაუჭრია მუცელში.

◆ ფოთის მოქალაქეს ბალიბის და ტფილისის მცხოვრებს ნიკოლაევს თეოდოსიის ქუჩაზე ქალაქის ფარანი ჩამოუგლეჯიათ და წაუღიათ. ბოროტ-განმზრახველნი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

◆ განჯიდან გვატყობინებენ: 20 იანვარს მიმავალ მატარებლის № 217 მემანქანემ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-465 ვერსზე დაინახა ვიღაც კაცის გაჭყლეტილი გვამი.

◆ ფოთიდან გვატყობინებენ: 19 იანვარს აქაურ სადგურზე მატარებლების მანევრების დროს ვაგონების გადამბმელს ბესარიონ გვაზავას ვაგონმა ფეხზე გადაუარა და თითები გაუჭყლიტა. დაშავებული ფოთის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო კრება

17 **იანვარი.**

სხდომა დილის 11 საათზე დაიწყო. ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, ვისაც სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ უნდა ლაპარაკი, ეხლავე ჩაეწეროსო.

ბ-ნი შუტცე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე): საბჭოს თავმჯდომარე ტყუილად ცდილობდა დაემტკიცებინა კრებისთვის, ვითომც ჩვენი მოხსენება მიდგომითაა დაწერილი, რომ მით საბჭოსთვის ჩირქი მოგვეცხო; დავარწმუნებ კრებას, რომ კომისიას არავითარი ცუდი განზრახვა არა ჰქონია: დასწერა ის, რაც ნამდვილად ნახა, და თუ რამშიმე შესცდა, კიდევაც აღიარა. ყოველ შემთხვევაში ჩვენი შენიშვნების უმეტესი ნაწილი სრულიად შეურყეველი დარჩა. ამბობენ, ვითომ ჩვენი აზრი,—საბჭო რევიზიას ფორმალურად მოეკიდაო, ტყუილი იყოს, მაგრამ საქმიდან ნათლადა სჩანს, რომ საბჭომ მხოლოდ მისთვის არ მიგვიშვა საქმეების გასასინჯავად, რომ ორი წევრი ვიყავით. მოხსენებაში ნათქვამი გვქონდა, საბჭოს კასის შავი დავთარი არა ჰქონიაო. როგორც კრებამ დაინახა, ესეც მართალი აღმოჩნდა; ვამბობდით, დავთრებში ბევრი წაშლილ—წამოშლილია, ესეც დამტკიცდა; საბჭო გვიმტკიცებს, ანგარიშის გასასწორებელ დავთარში ფულის რაოდენობის ჩაწერა მარცხენა მხარეზე სრულიად არაა საჭიროო; ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ მხოლოდ საკუთარი ფული შეიძლება არ ჩაიწეროს, რაც შეეხება საზოგადოების ფულს, ამის ჩაწერა საჭიროა; კომისია აღნიშნავს მოხსენებაში, რომ საბჭოს ნება არა ჰქონდა საზოგადოების ფული „შავი-ქვა“-სთვის ესესხებინა, და ეს მოხდა ბ-ნი ზდანოვიჩის პატივისცემით, რომელიც ამ ამხანაგობის თავმჯდომარედ ითვლება; ის რომ არ ყოფილიყო თავმჯდომარედ, ამხანაგობას ფულს არავინ ასესხებდა: კომისიას უსაყვედურებენ, რომ იმისთანა წვრილმანისთვის, როგორიცაა კასაში აღმოჩენილი მეტი 22 კაპეიკი, ყურადღება არ უნდა მიგვექციაო; მაგრამ ვისაც ცოტაოდნად გაეგება ბუხჰალტერია, ის დაგვეთანხმება, რომ ხანდახან ერთი მეტი ან ნაკლები კაპეიკი დიდ შრომას იწვევს ბუხჰალტერიაში; საავადმყოფოსათვის შენობის გაუკეთებლობაში საბჭო იმით იმართლებს თავს, რომ ადგილი პატარა იყო და ახალის აშენება არ შეიძლებოდა, ძველი კი იმდენად წამხდარი იყო, რომ უკეთესად შეკეთება არ შეიძლებოდაო; მე კი იმას ვიტყვი, თქვენ ოღონდ 5,000 მანეთი მომეცით და თუ ქიათურაში სამაგალითო საავადმყოფო არ გაგიკეთოთ, 10,000 მანეთის მომცემი ვარ. ყველა ამას იმიტომ კი არ ამბობდა სარევიზიო კომისია, რომ საბჭოსათვის ბოროტ-მოქმედების ჩადენა შეეწამებინა, არამედ იმისთვის, რომ შეცდომები დაენახვებინა. კიდევ დიდხანს ილაპარაკა ბ-ნმა შუტცმა, მაგრამ მისი სიტყვები თითქმის თავიდან ბოლომდის სარევიზიო კომისიის მოხსენების განმეორებას იყო. გრძელი სიტყვა, რომელშიაც საბჭოს ბოროტ-მოქმედებას უარჰყოფდა, მოკლედ დაათავა:

„დიახ, სუნი გვცემს, მაგრამ ეგ სუნი საბჭოს საქმეებიდან მოდის და არა სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან“.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელმა მარკოვსკიმ ფარი აიფარა, რომ კაცმა ხელი ვერ ახლოს. თუ მართლა ჩვენ ნება არა გვქვს, რომ შევხოთ მის მოქმედებას, როგორც მთავრობის წარმომადგენლისას, მაშ—აღარ ვიცი, ჩვენთან რა როლს თამაშობს. ამ შემთხვევაში ნება არ უნდა ჰქონდეს, რომ კრებას ანგარიში წარუდგინოს; ეს ანგარიში მან მხოლოდ იმას უნდა წარუდგინოს, ვისგანაც გამოგზავნილია. ბ-ნი მარკოვსკი რევიზორის როლს კისრულობს და სარევიზიო კომისიის წევრების დაგვარად ჯილდოსაც იღებს ჩემის აზრით, ეს ჯილდო არ ეკუთვნის, და ვთხოვ კრებას, ამის შესახებ მოიფიქროს.

პ. ა. მარკოვსკი: როგორც მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელს, თანახმად 1892 წლის 2 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრისა, მე უფლება მაქვს მოვაწვიო სარევიზიო კომისია. შემდეგ ის შეეხო სარევიზიო კომისიის მოხსენების განმარტებას: მე არ ვამტკიცებ, რომ საბჭოს ბოროტ მოქმედება ჩაედინოს; ვამბობ მხოლოდ, რომ საქმის წარმოებაში ბევრი დაუდევრობა და შეცდომებია, რის თავიდან აცილება საბჭოს ადვილად შეეძლო, რომ მოესურვებინა. ჩვენ გვსაყვედურებენ, რატომ მაინცა და-მაინც პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ვარშავიდან, ოდესიდან და ან კიევიდან უნდა მოგვეყვანა ბუხჰალტერი და არა ტფილისიდან, საკომერციო სასწავლებელი იქაც ხომაა; ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ კომისიამ ეს ქალაქები მხოლოდ მაგალითისთვის დაასახელა და არა მისთვის, რომ ბუხჰალტერი უსათუოდ ამ ქალაქებიდან მოიყვანეთო. შემდეგ შეეხო გზებს და ერთხელ კიდევ აღნიშნა მათი ცუდი მდგომარეობა, თუმცა ერთ ადგილს კი—ქუჩაზე დაყრილ ქვიშის სისქის შესახებ—აღიარა შევცდიო და მთელი წინადადება უკანვე დაიბრუნა. შეეხო აგრეთვე აბანოს და ერთხელ კიდევ გვაცნო, საბჭომ კრების ნება დაურთველად 8000 მანეთის მაგიერ 100,000 მანეთამდის დახარჯაო და სხვ.

სხდომა რამდენისამე წამით შესწყდა.

სხდომის განახლების შემდეგ ბუხჰალტერმა ი. ი. პურადოვმა სთქვა: „სარევიზიო კომისია დაუდევრობას უკიჟინებს საბჭოს, ბუხჰალტერია სრულიად უყურადღებოდ ყოფილა დატოვებულიო; შემცდარი აზრია: მე ყოველ თვე ვუდგენდი საბჭოს ბალანსებს განმარტებით და საბჭოც სინჯავდა; ხანდახან, მდივნის წინადადებით, თვეში ორჯერაც ვადგენდი ბალანსებს. სარევიზიო კომისია ამბობს, საბჭოს კასის შავი დავთარი არა ჰქონდაო; ამის შესახებ შემდეგი უნდა მოგახსენოთ: პირველად მოლარის თანამდებობას ასრულებდა საბჭოს მდივანი ა. თ. ნანეიშვილი, შემდეგ საქმის მწარმოებელი, რომელთაც ჰქონდათ შავი დავთარი და ისე აწარმოებდნენ ანგარიშს, როგორც ნაჩვენები ჰქონდათ სარევიზიო კომისიის ერთის წევრის ბ-ნ გასფელდისაგან! აი, ეს შავი წიგნი არ წარუდგენიათ სარევიზიო კომისიისათვის, რადგან იმის შესახებ სრულიად არა ყოფილა ლაპარაკი. შემდეგ არ შემიძლიან დავეთანხმო იმ მოხსენებას, ვითომ შეცდომები იმისთვისაა დავთრებში, რომ ბუხჰალტერს თვეში მხოლოდ ხუთი თუმანი აქვს; ვინაა იმის თავმდები, რომ 4000 მანეთიან ბუხჰალტერს კი არ მოუვა ამგვარი უმნიშვნელო შეცდომები. დასასრულ, სარევიზიო კომისია რომ არ აჩქარებულიყო და ორ დღეში არ გაეთავებინა მთელი რევიზია, ბევრი ცნობა აღმოჩნდებოდა ისეთი, რომელიც საქმეს ნათელს მოჰფენდა და ამდენი უსაფუძვლო ლაპარაკი არ დაგვჭირდებოდა“.

ფ. კოჩნაძე: არ შემიძლიან არ გავუზიარო კრებას ის შთაბეჭდილება, რომელიც მივიღე სარევიზიო კომისიის მოხსენების წაკითხვის შემდეგ; იგი საბრალმდებლო ოქმი უფროა, ვიდრე მოხსენება; რადგანაც მოხსენება ამგვარია, საჭირო, იყო, სანამ დაიბეჭდებოდა და გამოქვეყნდებოდა, თვითონ საბჭოს გადასცემოდა საქმის გასაცნობად და განმარტების მოსამზადებლად. თუ მართლა საქმე აინტერესებდა კომისიას, ასე უნდა მოქცეულიყო, და არა ბოროტ-მოქმედება შეეწამებინა საბჭოსთვის. მე იმას თქმა კი არ მინდა, რომ ყველაფერი კარგად არის მოწყობილი და საბჭოს არავითარი შეცდომა არ ჩაუდენია,—ამას ხომ არც თვითონ საბჭო უარჰყოფს. ეხლა ჩვენ დაგვრჩენია გამოვიძიოთ, რას გამოუწვევია ეს შეცდომები, ჩვენგან არჩეულ პირთა ზნეობრივ და გონებრივ სისუსტეს, თუ იმ პირობებს, რომელშიაც ესენი მოქმედებდნენ. აი, სარევიზიო კომისიას ამისთვის უნდა მიექცია ყურადღება და მხოლოდ შემდეგ წარმოეთქვა თავისი დასკვნა. იმის მაგივრად, რომ ყოველ გამვლელ-გამომვლელისა და მრეცხავებისათვის მიემართნა ცნობებისთვის, კომისია ვალდებული იყო თვითონ ექიმი მოეწვია და იმისგან გაეგო საქმის სინამდვილე საავადმყოფოს შესახებ. აი, ასე რომ მოქცეულიყო სარევიზიო კომისია, მაშინ არც ისინი ჩავარდებოდნენ ეხლანდელს სასაცილო მდგომარეობაში და ჩვენც მადლიერნი ვიქნებოდით. თუმცა ბევრი მაქვს სალაპარაკო, მაგრამ არა მსურს კრების ყურადღება ბოროტად მოვიხმარო; ამიტომ საჭიროდ ვსთვლი სარევიზიო კომისიის მოხსენება არ მივიღოთ; კომისიის წევრთ ასე ცალმხრივად და მიდგომით საქმის განხილვისათვის საყვედური გამოეცხადოს. რაც შეეხება ინჟენერ მარკოვსკის ყოფა-ქცევას, ეს მთავრობას ეცნობოს.

ს. ა. ქვარიანი: აგერ მეათე დღეა, რაც ჩვენ აქ ვმეცადინეობთ და, სიმართლე მოგა-

ხსენოთ, ეს სხდომები ჩემზე ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ. საყვედურს მეუბნებიან, რატომ ასე ცოტას ლაპარაკობო; ჰფიქრობენ, ვითომ ჩემის პრინციპებისთვის მეღალატნოს; არა, მე წინანდელებრ მუშებისა და წვრილ მრეწველთა მოსარჩლე ვარ. საზოგადო კომისიის მოხსენება საბჭოს მოღვაწეობის კრიტიკაა, რომელსაც შეუძლიან საქმეს ნათელი მოჰფინოს; ამისთვის საჭიროა, მოვისმინოთ ეს კრიტიკა. გუშინ თავმჯდომარეს უნდოდა სრულიად მოესპო კამათი ამ სიგნის შესახებ და კენჭის ყრით გაეთავებინა საქმე. უნდა ვაღვიარო, რომ საბჭოს მოღვაწეობაში მე ვხედავ შეცდომას, დაუდევრობასა და არა ბოროტ-მოქმედებას; ამასვე ამბობს სარევიზიო კომისიაც. ვერავინ იტყვის იმის უარს, რომ ბუხჰალტერიაში არის უნებლიეთი შეცდომები; დამტკიცდა, რომ გზები საძაგელს მდგომარეობაშია; ამ გზებით 30 მილიონი ფუთი შავი-ქვა გადააქვთ, რაზედაც 900,000 მანეთი იხარჯება; აი, ამდენ ფულს ნთქავს ჭიათურის ტალახი! ჭიათურის საავადმყოფო ხომ საბჭოს მოღვაწეობის ყველაზედ უფრო სუსტი მხარეა; საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა, უკვე გავაკეთეთ; მეტი კი არაფერი მოხერხდებოდა, რადგან ადგილი ძლიერ ვიწრო იყოო. ამ გვარად თავის მართლება არ შეიძლება: მრეწველთა მესამე კრებამ დაავალა, საავადმყოფოსათვის მიწა ეყიდნა და შენობაც გაეკეთებინა; დიდ-ძალი ფული იყო გადადებული (84,000 მანეთი); საბჭომ კი საავადმყოფოს მაგივრად ვეებერთელა აბანო გააკეთა წყალისაყვანითა და ელექტრონის განათებით და კრებისაგან გადადებულ 8,000 მანეთის მაგივრად მთელი 109,000 მანეთი დაჰხარჯა! წყლისაყვანი და ელექტრონის განათება რომ კარგია, ამის წინააღმდეგ, რასაკვირველია, არავინ იქმნება, მაგრამ ჭიათურისათვის ფუფუნებაა; უკეთესი არ იქმნებოდა, რომ ჭიათურაში ხალხისათვის იაფფასიანი სასადილოები გაგვემართა? საზოგადოების ფული იმას უნდა მოჰხმარდეს, რაც უფრო საჭირო და სასარგებლოა.

ნ. გ. ჭიჭინაძე: საბჭოს თავმჯდომარე ორი დღეა ტყუილად სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ საბჭოს მოქმედება გასაკიცხი არაა, მაგრამ ფაქტები მაინც ფაქტებად დარჩა. მრეწველთა მესამე კრებამ ბევრი რამ დაავალა საბჭოს, რომელთაგან უმეტესი ნაწილი სრულიად ხელუხლებელია, დანარჩენი კი ისეა გაკეთებული, როგორც საბჭოს ჰსურდა და არა ისე, როგორც კრებისაგან იყო დავალებული. მესამე კრებაზე დადგენილ იქმნა, რომ ჭიათურაში სასტატისტიკო ბიურო დაარსებულიყო; ამის საჭიროებას თვითონ ბ-ნი ზდანოვიჩი აღიარებდა. იმის მაგივრად, რომ ბიუროსათვის ერთი საკუთარი მმართველი და ორიც მისი თანაშემწე მოეწვიათ, მხოლოდ თანაშემწეები მოუწვევიათ, რადგან საბჭოს საჭიროდ არ დაუნახავს მმართველის მოწვევა. ამის გამო ჩვენ არ ვიცით, რამდენი კაცი მუშაობს მაღნებში, ამათგან რამდენია მამა-კაცი, რამდენი დედა-კაცი და რამდენი ბავშვი; არ ვიცით მათი მდგომარეობა. საბჭოს, მიუხედავად კრების დადგენილებისა, რომ აბანოზე 8,000 მანეთი დახარჯულიყო, 100,000 მანეთიანი აბანო აუგია, მაგრამ ის კი დაჰვიწყებია, რომ ამით მუშა ხალხი ნაკლებად ისარგებლებს: ყველამ იცის, რომ ხოფლები ჭიათურიდან 6 8 ვერსითაა დაშორებული; ბანაობის შემდეგ მუშამ 6-8 ვერსი უნდა გაიაროს, რომ შინ მივიდეს. საბჭოს აბანოს ეზო ნაქირავები აქვს; ადგილი წერეთლების სადავოა; ასე რომ, თუ წერეთლებმა ეს ადგილი მოიგეს, ადგილის ფასს ერთი-ორად აუწევენ. საბჭოს ელექტრონით გაუნათებია აბანო, მაგრამ რა საჭიროა ასეთი განათება იქ, სადაც ნავთით განათებასაც მონატრულნი არიან, სადაც ისეთი ქუჩებია, რომ უფარნოდ კაცი ვერ გაივლის! მრეწველთა მესამე კრებამ დაადგინა საბჭო ქუთაისიდან ჭიათურაში გადაეტანათ, მაგრამ დადგენილება დადგენილებადვე დარჩა, და საბჭოს არც შეუძლია ამაში თავი იმართლოს. მესამე კრებაზე დაადგინეს, რომ ჭიათურაში სახალხო კითხვები გამართულიყო, მაგრამ საბჭომ ამას ყურადღება არ მიაქცია; დადგენილ იქმნა გაემართათ ჭიათურაში იაფ-ფასიანი სასადილოები, საბჭომ არც ამაზე იზრუნა; საბჭოს მინდობილი ჰქონდა, რომ საავადმყოფოსთვის ადგილი შეეძინა და ზედ შენობა აეგო; საბჭომ არც ახალი ააშენა და არც ძველი შეაკეთა ხეირიანად. ნათლად დამტკიცდა, თუ რა მდგომარეობაშია ჭიათურის საავადმყოფო.

ბ ნმა ჭიჭინაძემ საჭიროდ დაინახა, ექიმმა მაღნებშიაც იაროს და თვალ-ყური ადევნოს მუშების მდგომარეობას. დასასრულ ასე დაათავა თავისი სიტყვა: საქმის საჭიროება მოითხოვს, რომ საბჭოს თავმჯდომარე მარტო შავი-ქვის მრეწველთა საქმეებს განაგებდეს, კერძო ამხანაგობათა თავმჯდომარეობას და კერძო საქმეებს კი თავი დაანებოსო.

ბ-ნი ჩერნევსკი დაეთანხმა სარევიზიო კომისიის მოხსენებას; გაკიცხვის მაგივრად კომისია მადლობის ღირსია, რომ ასე დაწვრილებით დაგვანახვა საქმეთა მდგომარეობაო. ძლიერ დაიწუნა იმან გზები; საბჭო თუმცა ფულს ცოტას ხარჯავს, მაგრამ, რასაც ხარჯავს, მასაც ტყუილად აბნევსო; ინჟენერ მიხაილოვის მუშაობა 600 მანეთზე მეტი არა ღირდაო.

თავ. პ. წულუკიძე: ბ-ნ ჩერნევსკის მოხსენება კი 300 მანეთად ღირდა.

ბ-ნი ჩერნევსკი შემდეგ შეეხო აბანოს და გაიმეორა თითქმის იგივე, რაც უკვე ითქვა. ბოლოს სთქვა: აბანო ხეირიანად არაა გაკეთებული, სახურავი სწორი აქვს, რომელიც ნამდვილ ცხრილს წარმოადგენს; შიგ წყალი ჩადის და იძულებული ხარ ბანაობის დროს ხელში ქოლგა დაიჭირო; აბანოში ორი საორთქლე ქვაბია, რომელთაგან ერთი სრულიად მეტიაო.

ბ-ნი მიხაილოვი: სირცხვილია ტეხნიკოსმა ის არ იცოდეს, რომ აბანოში ორი საორთქლე ქვაბია საჭირო: მუდამ ერთი ქვაბი ხომ ვერ იმუშავებს! იქმნება ქვაბს დასჭირდეს ან გაწმენდა, ან შეკეთება; აი, ასეთ შემთხვევისთვის საჭიროა მეორე ქვაბი. რაც შეეხება აბანოს სახურავს, მართალია, წვიმა კი მოჟონავს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ სახურავს ზემოდან ასფალტის მოსხმა უნდა.

იოს. პ. კაკაბაძე დაეთანხმა ქვარიანსა და ჭიჭინაძეს და ბოლოს სთქვა: საბჭოს თავმჯდომარე სრულიად ნეიტრალი უნდა იყოს; იმასა აქვს პირდაპირი თანამდებობა და სხვა კერძო საქმეებსა და ამხანაგობებში არ უნდა ერეოდეს. სანამ იმ სასახლე-აბანოს ააშენებდა, უკეთესი იქმნებოდა ყურადღება მიექცია იმ დედა-კაცებისა და მცირე-წლოვან ბავშთათვის, რომელნიც შიშველ ტიტველნი გვერდში ამოსდგომიან თავიანთ ქმრებსა და მამებს და მაღნებში მუშაობენ; არ უნდა დაჰვიწყებოდა, რომ ჭიათურა უბრალო სოფელია, იქ რომ შავი-ქვა არ იყოს, და ვინ იცის, სანამდის გვეყოფა ეს მადანი, ხოლო თუ მადანი აღარ გვექნა, მაშინ რაღა საჭირო იქნება ჭიათურაში ეს სამაგალითო აბანოო?

თავმჯდომარემ წინადადება მისცა ბ ნს ემერიკს, სთქვას, რაც სათქმელი აქვს სარევიზიო კომისიის მოხსენებისა და საბჭოს განმარტების შესახებ.

ბ. გ. ემერიკი: დღეს მე შეუძლოდ ვარ და, თუ შეიძლება, გთხოვთ, ჩემი სიტყვა ხვალამდის გადასდოთ.

თავმჯდომარე უარს აცხადებს, ეს კითხვა დღესვე უნდა დავაბოლოვოთო. საზოგადოებაც ძლიერ წინააღმდეგია, ერთის კაცისთვის ჩვენ არ შეგვიძლიან მთელი დღეები აქ ვიცადოთო.

ა. მ. კრინიცკი ვრცლად შეეხო სარევიზიო კომისიის მოხსენებას; აღნიშნა, რომ ისეთი ფორმალური წესის დარღვევა, როგორიც საბჭოს დავთრებში აღმოჩნდა, ყოველს დაწესებულებაში არსებობს, მაგრამ საქმეს სრულიად არა ჰვნებს; რომ კომისიის მოხსენება მიდგომითაა დაწერილი, რომ მით საბჭოსათვის სახელი წაეხდინათ; მოხსენება ნამდვილი საბრალმდებლო ოქმია, რის შედგენაც კომისიას სრულიად არ ჰქონია მინდობილიო. ბოლოს დასძინა: საბჭოს ზნეობრივი მოვალეობა იყო დახმარებოდა „შავი-ქვა“-ს, რომელშიაც დაინტერესებულია მრეწველთა თითქმის 3/4, რომ მით დაეხსნა წვრილი მრეწველნი უცხოელთა კლანჭებისაგან, რომელნიც ჩვენ გვალატაკებენ, ჩვენს სიმდიდრეს ჯიბეში იდებენ და ბოლოს სამდურავსაც კი გვეუბნებიან. ასეთ დახმარებისათვის ვალდებულნი ვართ საბჭოს მადლობა გამოვუცხადოთ. მე განცვიფრებული ვარ და ვერ გამიგია, რამ აიძულა სარევიზიო კომისია, რომ ეთქვა: „ნუ თუ ყველა მოსამსახურენი ქუთაისიდან უნდა იყვნენო? რატომ არ გამოიწერთ ბუხჰალტერს პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, ვარშავიდან, ან ოდესიდანო“, და ტფილისის შესახებ კი, რომელიც უფრო ახლოსაა და სადაც კომერციული სასწავლებელიც იმყოფება, ერთ კრინტსაც არა სძრავენ?! ბარემ ის ეთქვათ პირდაპირ „მოსამსახურენი ნუთუ ყველანი ქართველები უნდა იყვნენო“.

ბ-ნმა ემერიკმა კიდევ გაიმეორა თხოვნა, სხდომა მეორე დღისათვის გადაიდოსო.

ბ. ფ. ზდანოვიჩი: მე ვუერთდები ბ-ნ ემერიკის თხოვნას, რომ ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა ხვალამდის გადაიდოს.

კრების უმეტესობამ არ მიიღო თხოვნა.

თავმჯდომარემ კენჭი დაუდგა შემდეგს საკითხს: მიღებულ იქმნეს თუ არა საბჭოს ფულის ანგარიში. კრებამ დახურულ კენჭის ყრით 111 ხმის უმეტესობით 37 ხმის წინააღმდეგ დაამტკიცა საბჭოსაგან წარმოდგენილი ფულის ანგარიში.

შემდეგ კრებამ 93 ხმის უმეტესობით 3 ხმის წინააღმდეგ დაადგინა: საბჭოს განმარტება საკმაოდ იქმნეს ცნობილი, ხოლო სარევიზიო კომისიას მიდგომით მოხსენების შედგენისათვის გამოეცხადოს განკიცხვა.

სხდომა საღამოს $5^1/_2$ საათამდის გაგრძელდა.

დონ-ბაქიანი.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

საბჭომ პირველად განიხილა მოხსენება ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. სადღესად ორჯელ დაუკლავთ საქონელი და კომისიას და გამგეობას საჭიროდ უცვნია ახლანდელს ნიხრს მოუმატოს 1 კაპ. ამ რიგად 1 ხარისხის ხორცი უნდა გაიყიდოს 12 კ., მეორე ხარისხისა—9 კ. და მე 3 ხარისხისა 7 კ. ამ მოხსენების გამო კამათმა თითქმის საათ ნახევარი გასტანა. ბოლოს, როგორც იქმნა, საბჭომ მიიღო გამგეობის და კომისიის მოხსენება.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გუბერნატორის მოწერილობამ სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის აღმასრულებელ კომისიად გადაკეთების შესახებ. ამ საქმის ამბავი მკითხველებმა უკვე იციან. იურისტთა კომისიამ კანონიერად სცნო კომიტეტის არსებობა. ამავე აზრს დაადგნენ ქალაქის გამგეობა და სასწავლებელთა კომისია. პირველად ილაპარაკეს ბაბოვმა და კაკაბაძემ. ორივემ კანონიერად იცნო კომიტეტის არსებობა. შემდეგ ხმ. ავთანდილოვის თხოვნით წაკითხულ იქმნა უმაღლეს მთავრობის მოწერილობა სასწავლებელში ქართულ და სომხურ განყოფილებათა მოსპობის შესახებ. ამ მოწერილობაში არაფერია ნათქვამი კომიტეტის არსებობის და წესდების შეცვლის შესახებ. ხმ. ავთანდილოვმა კარგა ხანს ილაპარაკა ამ საქმის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ გვარი საკითხი პირველად არის ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრებაში აღძრული. იგი შეეხება კომიტეტის უფლებათა შემოფარგვლას და ამიტომ საჭიროა ყოველ მხრით იქმნას განხილული. საბჭომ ეს საქმე ორჯელ განიხილა, ორჯელვე კომიტეტის არსებობა კანონიერად იცნო. განიხილეს იურისტებმაც და ისინიც (უმრავლესობა) ამ აზრს დაადგნენ. მთავრობას ოცდა-ხუთი წლის წინად კომიტეტის შესახებ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს, ეს კი შეუძლებელია, კომიტეტი რომ უკანონოდ არსებობდეს. ამ ბოლო დრომდე საგუბერნიო მთავრობა და სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ქალაქის თვით-მმართველობასთან კეთილ-განწყობილებაში იყვნენ. ეხლა კი საქმე გამწვავდა. ასე გასინჯეთ, თვით-მმართველობის უფლებებსაც შეეხნენო. დასასრულ ავთანდილოვმა ურჩია საბჭოს, მიიღოს იურისტთა მოსაზრება. მოურავის მოადგილემ განაცხადა, რომ კეთილ-განწყობილება ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისა და მთავრობის შორის მხოლოდ 1900 წლამდე არსებობდა და არა 1902 წლამდე, როგორც ხმ. ავთანდილოვი აცხადებს. კომიტეტის შესახებ მოწერილობა გუბერნატორისა პირველი არ არის წარსულ წელს. 1895 წელსაც მიიღო გამგეობამ მოწერილობა. გამგეობას გადაუწყვეტია საქმე განსახილველად გადაეცა სპეციალისტებისათვის. საქმე ამაზე შეჩერდა და შემდეგ რა გაკეთდა, არ ვიცი. მთავრობის მაშინდელს მოწერილობაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ კომიტეტის არსებობა არ შეესაბამება საქალაქო დებულებას და უნდა გაუქმდესო. კეთილ-განწყობილებების ჩამოსაგდებად ჩემთვის ბრალის დადება, რომ შემესრულებინათ. დიდხანს ილაპარაკა ხატისოვმაც. უნდა გამოირკვეს, ვის მიუძღვის ბრალი, რომ ასეთი მიმართულება მიიღო თვით-მმართველობის დამოკიდებულებამ მთავრობასთანაო. ჩემის აზრით, ამისი ბრალი ცოტაოდნად კომიტეტსაც ედება, რადგან როდესაც სახელოსნო სასწავლებლის რეფორმა უნდა და ზოგიერთ საგნების განსამარტებლად მზრუნველმა მიჰმართა კომიტეტს, ამ უკანასკნელმა დიდხანს მზრუნველის მოთხოვნილება არ შეასრულა. კარგი იქნება შეგვატყობინოს კომიტეტის რომელმამე წევრმა, რა მიზეზით მოხდა ესაო. ადიხანოვმა (კომიტეტის წევრია) განაცხადა, გუბერნატორის მოწერილობაში ნათქვამია, რომ კომიტეტი ქალაქის მოურავის გარეშე მოქმედებსო. გადავათვალიერე კომიტეტის სხდომის ოქმები და ყველგან აღნიშნულია, რომ კომიტეტს მოურავები თავმჯდომარეობდნენ ამ 25 წლის განმავლობაში. შესტაკოვმა სთქვა: მე ქალაქის მოურავის მოადგილე ვარ და მე იმასთან ახლო კავშირი არა მქონიაო. ხმ. სულხანოვმა გულის-წყრომით შენიშნა, ძალიან ვწუხვარ თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო: როგორ, საქმე შეეხება სასწავლებელს, კომიტეტის არსებობას და თქვენ საგანი კერძო უსიამოვნებაზე გადაგაქვთ? თქვენ თუ მაგას საქმის სიყვარული გათქმევინებთ, საჭირო იყო საბჭოში გაგეცხადებინათ უფლებები და არა საქმე ამ მდგომარეობაში ჩაგეგდოთ. შემდეგ ხმ. ა. ბაბოვმა დიდხანს ილაპარაკა, ვრცლად შეეხო საგანს და დასასრულ აღნიშნა, თუ ქალაქის გამგეობას სახელოსნო სასწავლებლის მართვის საქმეში უფლება არ ექნება, არა მგონია, საბჭომ იმის შესანახად ფული გაიღოსო. კამათის შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო იურისტების და ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება, რომელთაც საჭიროდ ვერა სცნეს კომიტეტის კომისიად გადაკეთება.

დასასრულ საბჭომ ამოირჩია დასათვალისწინებელ გარდასახადის დარჩენილ ფულის მპატიჟებელ კომისიის წევრებად: ა. ბადალაროვი, ი. ალიხანოვი, ი. ა. გრიქუროვი, მ. ი. სვენიკოვი და დ. თ. ტიგრანოვი.

წერილი თელავიდან

წმ. ნინოს დღესასწაული

თელავში შვიდი სასწავლებელია; აქედან ორი კერძო, ორი სამრევლო, ერთი საქალაქო, ერთი სასულიერო და ერთიც დედათა წმ. ნინოს სასწავლებელი. ექვსი სასწავლებელი დღესასწაულობს ამ დღეს ერთი კი—არა. ეს შეუფერებლობა უცნაურია მოსწავლე ბავშვთა და იმათ მშობლებისთვის: ერთის სახლიდან ძმა გულ-ნაბად აკიდებული მიეშურება სასწავლებელში, ხოლო იმისი და სადღესასწაულოდ ირთვება, ან ერთი ძმა სადღესასწაულოდ ირთვება, მეორე სკოლაში მიდის გულ დაწყვეტილი. რა არის ასეთ უცნაურობის მიზეზი? ნუ თუ მთავრობა არ მოინდომებს მოსპოს ეს შეუფერებლობა? თუ იმას ვიტყვით, რომ წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელია და რა საქმე აქვს იმ სასწავლებლებს, რომელნიც განათლების სამინისტროს ექვემდებარებიანო,—არც ეს არის მართალი. ჯერ ერთი, რომ იგივე სასწავლებელი დღესასწაულობს წმ. გრიგოლ ლუსავორიჩის დღეს, ესეც ხომ მარტო სომეხთა განმანათლებელია. მეორე, რომ ის ექვსი სასწავლებელი, სადაც დღესასწაულობენ ამ დღეს, განა ისე დაშორებულნი არიან იმ მთავრობისაგან? ჩემის აზრით, ბრალი ადგილობრივ მოძღვარს უნდა დაედოს. იგი სასწავლებლის საბჭოს წევრია, რატომ ხმას არ იღებს, რატომ არ უჩვენებს, ვისიც ჯერ არს, ამ შეუფერებლობაზე. იქმნება ერთხელ შეიტანა თხოვნა და დაუკმაყოფილებელი დასტოვეს. მაგრამ განა ეს კმარა. ახლა საქალაქო სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებლად დანიშნა ხელაშვილი და, იმედია, ეხლა ეს უცნაურობა თავიდან აიშორის ბავშვებს და მათ მშობლებს.

14 იანვარს, დილის 11 საათზე, მთელი თელავი შეიკრიბა დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში, სადაც გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი დეკანოზ ხელაშვილის მიერ. ჰგალობდა მოსწავლე ქალთა გუნდი ბ-ნ აზვლედიანის დირიჟორობით. პარაკლისის შემდეგ გამგეობის წევრმა ბ. სოგინმა წაიკითხა სასწავლებლის ქონებრივ მდგომარეობის ანგარიში. ანგარიშიდან გავიგეთ, რომ სასწავლებელს 1902 წ. შემოსავალი ჰქონია 13,246 მან. და 28 კაპ., ხარჯი 11 ათასი მან. ამ ნაირად გამგეობას გადაურჩენია 2 ათას მანეთზე მეტი. აქედან 2 ათასი მანეთისა გამგეობას სახელმწიფო

4⁰/₀ ბილეთები უყიდნია, დანარჩენი ფულად შეუნახავს. სხვათა შორის, ბ-ნმა სიკინმა კერძოდ აღნიშნა, რომ პანსიონის შენახვა 400—800 მან. ძვირად უჯდება სასწავლებელს, ვიდრე პანსიონში მცხოვრებნი იხდიან, ამიტომ სამართლე მოითხოვს პანსიონში მცხოვრებელს ფასი მოუმატოს გამგეობამაო. ამას ასაბუთებს ის მოსაზრება, რომ მეტად ვიწროობაა სასწავლებელში და გარდა ამისა უხერხულობაა, რომ ბავშვთა საწოლ ოთახების გვერდზე საავადმყოფოა. იგი უნდა გადატანილ იქმნას ცალკე შენობაში. ცალკე შენობისათვის ფულის მოგროვება კარგი იქმნება იმ ნარჩენებით, რასაც ყოველ წლობით გადაარჩენს, ამას ის ფულიც დაემატება, რაც თავად-აზნაურთა მიერ შეწირულ 6 ათასიდან ერგება ამ სასწავლებელს. ყველა ეს მართალია, მაგრამ სასწავლებელ ფულს რომ მცირე რამ მოაკლდეს, ესეც დიდად სასურველია, რადგან უმისოდ ღარიბ თავად-აზნაურთა ქალიშვილები სასწავლებელს გარედ რჩებიან უსახსრობისა გამო. უკეთესი იქმნება, თუ ზოგიერთ ღარიბთათვის სწავლის ფასისაგან განთავისუფლებელი ვაკანსია დაარსდება.

ნადიკვრელი.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). თხუთმეტი წელიწადია მას შემდეგ, რაც სამტრედიაში რამდენიმე სამიკიტნო დუქანი იყო, მაგრამ ვიღაცამ გაუჩინა ცეცხლი და გადაბუგა. მერმე წარსულს წლამდის აზრადაც არავის მოსვლია, რომ ამ სოფელში სამიკიტნო დუქანი გაეხსნა, და უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დროს განმავლობაში ხალხიც ძლიერ მშვიდობად სცხოვრობდა. 1902 წელს გახსნეს სამტრედიაში სამი სამიკიტნო დუქანი, ორი ეკკლესიის მახლობლად და ერთიც ცოტა მოშორებით. გაიხსნა თუ არა დუქნები, ვისაც ჰქონდა და არა ჰქონდა ჯიბეში ფული, ყველამ ქეიფობას მიჰყო ხელი, ამასთან გაიმართა ბანქოს თამაში განუწყვეტლად დღე და ღამ; თამაშობდენ როგორც დიდები, ისე პატარებიც, რის მეოხებითაც გახშირდა სამტრედიაში ჩხუბი, ლანძღვა-გინება, და მასთან ქურდ-ბაცაცების რიცხვმაც იმატა. ბანქოს მოთამაშენი რომ წააგებენ ფულს, მეტი სახსარი არა აქვთ, თუ არ ქურდობა. ამას წინად სამტრედიაში ერთმა გლეხმა ი. ხ—ძემ ღამე სასიმინდეში მოასწრო ვიღაც ქურდს, რომელიც კარგა მოზრდილ ტომარში ჰყრიდა სიმინდს, მაგრამ ქურდი ვერ დაიჭირა. ხმაურობა რომ გაიგონა, ჯერ შეფიქრდა, ამ დროს სასიმინდეში ვინ უნდა იყოსო; მერმეთ, რა დარწმუნდა, რომ თავისი არავინ იქმნებოდა, მიაძახა: ეი, ვინა ხარ შენა! ამის გაგონებაზე ქურდმა იკადრა სასიმინდიდან გადმოხტომა და გაქცევა, ტომარა კი, სიმინდით სავსე, შიგ დარჩა. მერმეთ გლეხმა მორთო ყვირილი, არიქა, ქურდი მორბის და არ გაუშვათო, მაგრამ გვიან-ღა იყო, რადგან სანამდის ხალხი გაიკებდა, ქურდი მიიმალა. ეს ვაჟბატონები იპარავენ სიმინდს გარდა ყველაფერს, რაც მოჰხვდებათ: ქათამს, ბატს, გოჭს, საცვლებს, ქვაბებს.

ხილ. ბილიაშვილი.

—

ჟანდაურა (გარეთ-კახეთი). როგორც უკვე მოხსენებული იყო „ცნობის-ფურცელ“-ში, 14 დეკემბერს, ღამის 7 საათზედ, ბოროტ მოქმედებმა თოფით მოჰკლეს ჩვენის სოფლის მამასახლისი ივანე ჯავახიშვილი. სიღნაღიდან მონავლებულა და როდესაც მოახლოვებულა სოფელს ასე 40 საჟენის მანძილზედ, ბოროტ-მოქმედთ, რომელნიც იქვე მიმალულნი ყოფილან, მოუხვედრებიათ თოფი გულში და იქვე მოუკლავთ. ამ საქმის შესახებ მეორე დღესვე ადგილობრივი ბოქაული მოვიდა და საქმის გამოძიებას შეუდგა. მაზრის ექიმმა, გამომძიებლის თანდასწრებით, გასჭრა მიცვალებულის გვამი, რომელსაც ორი ტყვია აღმოაჩნდა მოხვედრილი. მესამე დღეს, 17 დეკემბერს, მოვიდა მაზრის უფროსიც, რომელმაც ფიცხელი გამოძიება მოახდინა. მთელი სოფელი შეჰყარა და შეკრებილ ხალხს გამოუცხადა, რომ საეჭვო ხალხი უნდა აღმოაჩინოთო, რადგან სჩანდა, რომ მკვლელნი შორეულნი არ უნდა ყოფილიყვნენ და არც იმ განზრახვით იყო მოკლული, რომ გაექარცვნათ. ხალხმა ერთ-ხმად დაასახელა ამავე სოფლის მცხოვრები მ. ჯ—ძე და ა. ბ—ძე, რომელთაც ბევრი ბოროტ-მოქმედება ჰბრალდებოდათ და ამ მკვლელობაშიაც ეჭვი იმაზედ მიიტანეს. ბოლოს აღმოაჩნდა ამავე სოფლის კაცი, მ. ც—ძე, რომელიც მახლობელ სოფლიდან მონავლებულიყო და იმ დროს წასდგომოდა თავს მკვლელებს, როდესაც განზრახვას ასრულებდნენ, მხოლოდ თვითონ დიდის აღთქმით და ხვეწნით გადაურჩენია თავი იმათ კლანჭებისაგან. ეხლა ეს ვაჟბატონები შეპყრობილი არიან და გამოძიება სწარმოებს. განსვენებული ჯავახიშვილი 56 წლის კაცი იქნებოდა. 10 წელიწადი სოფელს ემსახურებოდა.

ზ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 იანვარი.

ხარკოვი. „იუჟნი კრაი“-ში დაბეჭდილია საპოლიციო ინსტიტუტის პროექტი.

ვილნა. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თაოსნობით საპედაგოგო მუზეუმი დაარსდა.

ბირჟუ. ამომრჩეველთა კრებაზე ჟორესმა სთქვა, სოციალისტთა პარტია და რესპუბლიკელთა ჯგუფები სამინისტროს უნდა ენდობოდნენო. ორატორმა განაცხადა, რომ პალატაში დრეიფუსის საქმის ზოგიერთ გარემოებას გამოამჟღავნებს და ამით რამდენისამე მოღვაწის შესახებ სიმართლეს გამოარკვევს.

პარიზი. უარს ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ საფრანგეთი მზად არის დასთანხმდეს ინგლისის ბატონობაზე ეგვიპტეში, თუ სამაგიეროდ ინგლისი დასთანხმდება საფრანგეთის ბატონობაზე მაროკოშიო.

ბიარიცი. „პალაცე ოტელ“-ი, რომელიც საიმპერატორო სასახლედ იყო, სრულებით დაიწვა.

ტანჟერი. სულთანის ჯარებისა და აჯანყებულთა შეტაკების შესახებ ცნობები, აგრეთვე ტახტის მაძიებლის დატყვევება ნამდვილი არ არის. ჯერ არ არის გამორკვეული, ურევია დახოცილებში იმის გვამი თუ არა. ტახტის მაძიებლის ამალა ან სულ მოკლულნი არიან, ან დატყვევებულნი. სურსათი და საომარი მასალა სულთანის ჯარებმა ჩაიგდეს ხელში.

პეტერბურგი. საერთაშორისო საფოტოგრაფიო გამოფენა პეტერბურგში გაიმართება 31 მაისს; ექსპონატების მიღება 1-ლ თებერვლიდან 1-ლ მარტამდე იქმნება.

19 იანვარს მარიინსკი თეატრში კშესინსკის 65 წლის არტისტიულ მოღვაწეობის დღესასწაული გარდაიხადეს, წარმოადგინეს ბალეტი „დოჩ ფარაონა“ დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის, ხელმწიფე მემკვიდრისა, დიდის მთავრინა მარიამ პავლეს ასულისა და დიდის მთავრების თანადასწრებით.

21 იანვარი

მოსკოვი. ყაზანის რკინის გზის აქციონერთა საგანგებო კრებამ დაადგინა გაიყვანოს რკინის გზა ლიუბერცის სადგურიდან შიხრანის სადგურამდე.

გროდნო. სახალხო სწავლა-განათლების საქმე წინ მიდის გროდნოს გუბერნიაში. განვლილ წელს დაარსდა 49 ახალი სამინისტრო სკოლა და გადაკეთდა 8.

ტულა. 19 იანვარს სიზრანო-ვიაზმის რკინის გზაზე უზლოვაიის სადგურის მახლობლად, ერთმანეთს დაეტაკნენ საქონლის მატარებლები; დაზიანდა ორთქლმავალები და 11 დატვირთული ვაგონი. მძიმედ დაშავდა კაჩეგარი.

ლონდონი. გარდაიცვალა მათემატიკოსი და ფიზიკოსი ჯორჯ სტოკსი.

ვინძორი. მეფე ავად არის და აღარ გამოდის.

გიბრალტარი. მოვიდა ოფიციალური ამბავი, რომ მაროკოს ჯარმა ტახტის მაძიებლის ჯარი დაამარცხა. მთელი ბანაკი გამარჯვებულთ ჩაუვარდათ ხელში.

კონსტანტინოპოლი. ალი-რიზა ფაშა, ჯარის უფროსი კოსოვოში, დანიშნულ იქმნა მონასტირის გენერალ-გუბერნატორად.

რინგკელინგი. ტორმინდესთან გემი „ავონა“ გაირიყა. გემზე მყოფი ზღვაოსანნი სუყველანი დაიღუპნენ.

ლოძი. დაიწვა საქსოვი ვილდერტისა. ზარალი 70000 მანეთამდეა.

პეტერბურგი. ქალაქი გონკონგი შავის ჭირის მხრივ საშიშოდ არის გამოცხადებული.

7 იანვარს სამხედრო მინისტრმა უმაღლესად ნება-რთვა მიიღო, რომ გადასინჯულ იქნას დებულებანი ჯარის სასანიტარო ნაწილის გამგეობის შესახებ. აზრადა აქვთ ექიმები სამხედრო-სასანიტარო საქმის მოთავეებად გახადონ. ამისთვის არსდება განსაკუთრებული კომისია ჯარისა და სამხედრო ექიმების წარმომადგენელთაგან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

ფოთის საქალაქო გამგეობა

ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ 1903 წლის 22 თებერვალს, შაბათს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში, მოხდება საბოლოო ზეპირი საჯარო ვაჭრობა (შეიძლება დაწერილ და კონვერტში დაბეჭდილ განცხადების წარმოდგენაც) ქალაქის თორმეტ დაგეგმულ მიწის ნაჭრის გასასყიდათ; ეს მიწის ნაჭრები მდებარეობენ ლევაშოვის ნაბერეჟნაიაზე CXXXII უბანში №№ **1164, 1165, 1166, 1167, 1168, 1169, 1170, 1171, 1172, 1173, 1174** და **1175**, ყოველი ნაჭერი ზომით 109-დან 196 ოთხკუთხი საჟენამდე. ეს ადგილები ეთმობა მსურველთ იმ პირობით, რომ სამის წლის განმავლობაში უეჭველად უნდა გააშენონ ქვის შენობები და დაჰხურონ ისინი ისეთის საგურავებით, რომელთაც ცეცხლი არ ეკიდება. თუ ეს პირობა არ იქნება შესრულებული, ადგილი მყიდველს ჩამოერთმევა გამგეობის მიერ და ჩაითვლება ქალაქის საკუთრებად; მყიდველი-კი დაჰკარგავს შენობის აგების ნებასაც და ადგილში გადახდილ ფასსაც. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შეიტანოს ბე—ადგილის ფასის ოცი პროცენტი; დანარჩენი უნდა შეიტანოს ვაჭრობის დღიდან ერთის თვის განმავლობაში. როდესაც ადგილის მთელი ფასი იქნება გადახდილი, მყიდველს მიეცემა დროებითი მოწმობა იმისა, რომ უფლება შეიძინა სახლი ააგოს ნაყიდ ადგილში. ხოლო როდესაც მყიდველი აასრულებს სავალდებულო პირობას, მას მიეცემა დაწესებული ნასყიდობის საბუთი, რომ ადგილი სრული მის საკუთრებას შეადგენს. ვაჭრობა დაიწყება ფასიდან—ორი მანეთი თითო ოთხკუთხი საჟენში. (ნ. 3—2)

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მანეთი.	1 წლით—9 მ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

ამა 1903 წელს „**მოამბე**“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი** № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ ველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ ველესიანი.** (20—4

Дозв. ценз. Тифлисъ, 21 января, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).